



საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

2026

EEU

აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი | საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, ი. ენუქიძის ქუჩა 6 | info@eeu.edu.ge, (032) 2 48 01 41

სარჩევი

საბაკალავრო პროგრამები

საექთნო საქმე (ინგლისურენოვანი).....	4
სამართალი.....	11
საჯარო მმართველობა.....	17
საერთაშორისო ურთიერთობები	24
ფსიქოლოგია.....	30
ბიზნესის ადმინისტრირება	36
ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი).....	41
არქიტექტურა	46
სკოლამდელი განათლება.....	53

სამაგისტრო პროგრამები

სამართალი.....	61
საჯარო მმართველობა	69
ბიზნესის ადმინისტრირება	77
ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი).....	82
ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში	87
ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში (ინგლისურენოვანი).....	93
ციფრული მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი).....	99
ადამიანური რესურსების მართვა	Error! Bookmark not defined.
ურბანული დაგეგმარება.....	1100
განათლების კვლევები და ადმინისტრირება.....	116

სადოქტორო პროგრამები

სამართალი.....	123
ბიზნესის ადმინისტრირება	130
განათლების მეცნიერებები (ინგლისურენოვანი).....	138

უმაღლესი განათლების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამები

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	146
ერთსაფეხურიანი პროგრამები	
დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი).....	153

საბაკალავრო პროგრამები

საექთნო საქმე (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სახელწოდება	სექთნო საქმე
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საექთნო საქმის ბაკალავრი/Bachelor of Nursing (B.N)
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების გადასახადი	3500 USD
პროგრამის ხელმძღვანელი	ელენე ზურაბიშვილი, დიპლომირებული მედიკოსი; საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: e.zurabishvili@eeu.edu.ge ; მობ: 595241313, ნონა გოშაძე, ჯანმრთელობის ხელშეწყობის მაგისტრი; საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: nona.goshadze@eeu.edu.ge . მობ: 591007010
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა და გადალახული აქვს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (85%+1). ამასთან, საექთნო საქმის საბაკალავრო

	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგნად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ფიზიკაში ან ქიმიაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
პროგრამის მიზანი	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • მისცეს ფართო თეორიული ცოდნა საექთნო საქმის პრინციპების, კონცეფციისა და თეორიების, აგრეთვე საექთნო საქმის საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების შესახებ; • გამოუმუშავოს საექთნო პროცესის წარმართვის, მათ შორის, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს პირველადი დახმარების გაწევის, უნარები; • გამოუმუშავოს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აკადემიური წყაროდან საექთნო საქმის სფეროსთვის რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის, ინფორმაციის, მონაცემების, მოძიების, შეგროვების, დამუშავების, ანალიზის, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შემუშავების უნარი; • გამოუმუშავოს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნების, არგუმენტების, საექთნო საქმის სფეროსთან დაკავშირებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების თაობაზე, ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. • გამოუმუშავოს პროფესიული საქმიანობისას გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მოქმედების, საკუთარი და გუნდის წევრთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობის წარმართვის, ასევე საკუთარი და გუნდის წევრების საქმიანობის შედეგების ობიექტურად შეფასების უნარია; • გამოუმუშავოს ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით; გამოუმუშავოს პროფესიული საქმიანობისას კონფიდენციალობის პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედებისა და სამართლებრივი, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დაცვის უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია ACQUIN ევროპული სააგენტოსა და ასევე, აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ საბაკალავრო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სწავლება-სწავლის პროცესის და სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე მიდგომებს.

	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სასწავლო სემესტრს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შედგება როგორც სასწავლო ასევე კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტებისაგან. საექთნო პრაქტიკა მოიცავს 8 ECTS კრედიტს, ამავე მოცულობითაა (8 ECTS) წარმოდგენილი საბაკალავრო კვლევითი პროექტიც პროგრამაში.
პირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	200 ECTS
პირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	8 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	12 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: აღწერს საექთნო საქმის პრინციპებს, კონცეფციებსა და თეორიებს, საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებების, კლინიკური მეცნიერებების, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების თეორიულ საფუძვლებს, სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას, სტატისტიკისა და ბიოსტატისტიკის პრინციპებს, ასევე ტელეკომუნიკაციის ბაზისურ ცნებებსა და პრინციპებს. უნარები 1. კომპეტენციის ფარგლებში აფასებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტის მდგომარეობას ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების გამოყენებით, საექთნო დიაგნოსტიკის პრინციპების გამოყენებით აანალიზებს საექთნო შეფასების შედეგებს და ახდენს საექთნო დიაგნოზების ფორმირებას მართავს საექთნო პროცესს;

	2. შეიმუშავებს ინდივიდზე და სიტუაციაზე მორგებულ საექთნო მოვლის გეგმას, მოვლის გეგმის მიხედვით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში, პაციენტსა და /ან მის თანხმლებ პირებს აძლევს კონსულტაციებს, განმარტებებსა და რჩევებს, კომპეტენციის ფარგლებში იღებს ინფორმირებულ თანხმობას და აწარმოებს სათანადო სამედიცინო ჩანაწერებს; 3. განსაზღვრავს პაციენტის სასიცოცხლო ნიშნებს, ახდენს პერიფერიულ ვენეპუნქციას, პერიფერიული ვენის კათეტერიზაციას, სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანას, ოქსიგენოთერაპიას, ინექციას კანქვეშ და კუნთში, შარდის ბუშტის კათეტერიზაციას, ნაზო-გასტრალურ ზონდირებას, ტრაქეის სანაცისა, ტრაქეოსტომის, დრენაჟებისა და სტომის მოვლას, მედიკამენტების დოზის კალკულაციასა და ადმინისტრირებას, პაციენტის ძირეული მოვლას, იყენებს ინფუზიის მოწყობილობას, იღებს ელექტროკარდიოგრამას, ცხვირ-ხახიდან ნაცხს, ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს; 4. იყენებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, იცავს ასეპტიკა-ანტისეპტიკის წესებს, აცნობიერებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს და პროფესიულ მოვალებებთან მიმართებაში აფასებს მათ; 5. ამოიცნობს გადაუდებელ და კრიტიკულ სამედიცინო მდგომარეობას, აფასებს სიტუაციას, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით წევს ბაზისურ პირველად დახმარებას, მათ შორის პირველად გადაუდებელ დახმარებას ტრავმის და ანაფილაქსიური შოკის დროს, ატარებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ (BLS) სარეანიმაციო ღონისძიებებს; 6. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, პაციენტთან და /ან მის თანხმლებ პირებთან, კოლეგებთან, შეზღუდული შესაძლებლობების, სპეციალური საჭიროებების განსხვავებული სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და სხვა კუთვნილების მქონე პირებთან, მულტიდისციპლინურ გუნდთან; 7. პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს სამეცნიერო მიღწევებს, ასევე საექთნო პრობლემების შესაფასებლად მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და კლინიკური აზროვნების სისტემურ მიდგომებს, ასევე წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებით აფასებს საექთნო/სამედიცინო მომსახურების ხარისხს; 8. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აკადემიური წყაროდან მოძიებს, აგროვებს, ამუშავებს, აანალიზებს საექთნო საქმის სფეროსთვის რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას, ინფორმაციას, მონაცემებს, შეიმუშავებს კვლევითი ხასიათის პროექტს (ნაშრომს), აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; 9. მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნების, არგუმენტების, საექთნო საქმის სფეროსთან დაკავშირებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზების თაობაზე, ზეპირი და წერიტი ფორმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. 10. საექთნო პრაქტიკის ფარგლებში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით,
--	--

	წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ობიექტურად აფასებს საკუთარი და გუნდის წევრების საქმიანობის შედეგებს; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: 11. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, ავლენს ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით; 12. საექტონო პრაქტიკის ფარგლებში მოქმედებს კონფიდენციალობის პრინციპებზე დაყრდნობით, იცავს სამართლებრივი, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმებს, ასევე კლიენტის/პაციენტის ღირსებასა და სამედიცინო პერსონალის უფლებებს.
სწავლა-სწავლების მეთოდები	საექტონო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. საექტონო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური აზროვნება (CBCR), შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.

	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საექთნო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და აღნიშნული პროგრამის კურსის დასრულების შემდეგ ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ან/და განახორციელოს შესაბამისი პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

დასაქმების სფერო	საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობის უფლება ენიჭება სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის მოპოვების საფუძველზე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
------------------	---

სამართალი

პროგრამის სახელწოდება	სამართალი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	240 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების გადასახადი	3000 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	მაკა კარტოზია; პროფესორი, სამართლის დოქტორი;საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 577478780 ელ. მისამართი: maka.kartozia@eeu.edu.ge .
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში ან სამოქალაქო განათლებაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან

	ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამის მიზანი	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: - შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, რომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტების, ქართული სამართლის წყაროების, იურისტის საქმიანობის ეთიკური პრინციპების, საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზების, ასევე საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების სისტემაში საქმის განხილვის თავისებურებების შესახებ; - გამოუმუშავოს სამართლებრივი პრობლემების ამოცნობისა და ანალიზის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შეფასების, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების, სამართლებრივი შემთხვევების (კაზუსების) ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების, კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შემუშავების, ასევე სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული ტერმინოლოგიისა და არგუმენტაციის გამოყენებით ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკული უნარები; - გამოუმუშავოს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების, ასევე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მოქმედების, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით ცოდნის მუდმივი განახლების უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია ACQUIN ევროპული სააგენტოსა და ასევე, აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სასწავლო სემესტრს ანუ 4 წელს შეადგენს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს; პროგრამა მოიცავს ასევე საბაკალავრო ნაშრომს 8 ECTS და პრაქტიკული სამართლის კლინიკას 8 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	160 ECTS
ძირითადი სწავლის	30 ECTS

სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	35 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	15 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • აღწერს სამართლის არსს, ძირითად პრინციპებს, სისტემას, სამართლის ნორმების სახეებსა და მათი შეფარდების სტადიებს; • განმარტავს ქართული სამართლის სისტემის თავისებურებებს, მათ შორის — ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს; • აცნობიერებს რომის სამართლის ძირითად წყაროებსა და ინსტიტუტებს; • განმარტავს იურისტის პროფესიული ეთიკის სტრუქტურასა და მნიშვნელობას; • განსაზღვრავს საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის ძირითად თეორიებსა და სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებებს; • ხსნის სამართლებრივი დავის წარმოშობის ძირითად მიზეზებსა და სასამართლო განხილვის თავისებურებებს (საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეები). უნარები საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და ზოგჯერ გაუთვალისწინებელი სამართლებრივი პრობლემებს; • განსაზღვრავს სამართლებრივი პრობლემის ძირითად მახასიათებლებს და სამართლებრივ ჩარჩოს; • აანალიზებს პრობლემებსმოქმედი კანონმდებლობის, დოქტრინული მიდგომებისა და პრაქტიკის საფუძველზე; • ირჩევს სამართლებრივი პრობლემის გადაჭრისთვის შესაბამის და სამართლებრივად დასაბუთებულ მიდგომებს. • სისტემურად მოიძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო სამართლის წყაროებს (კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა, დოქტრინა, კვლევები); • იყენებს სამართლებრივ ლიტერატურასა და ელექტრონულ ბაზებს ქართულ და ინგლისურ ენებზე; • ამზადებს აკადემიურ ანპრაქტიკულ სამართლებრივანაშრომსაკადემიური კეთილსინდისიერებისა და

	სამეცნიერო სანდოობის სტანდარტების დაცვით. • აანალიზებს კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევებს, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და იღებს დასაბუთებულ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს; • ირჩევს შესაბამის სამართლებრივ ინსტრუმენტებს და ამუშავებს საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას. • ზეპირად და წერილობით აყალიბებს და ასაბუთებს სამართლებრივ პოზიციას იურიდიული ტერმინოლოგიისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით; • ახორციელებს სამართლებრივ კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან გასაგები და ადაპტირებული ფორმით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: • იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე; • იცავს პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს სამართალწარმოების პროცესში; • თანამშრომლობს გუნდში და იზიარებს საერთო პასუხისმგებლობას; • ავლენს პროფესიული განვითარების და სამართლებრივი ცოდნის განახლების უნარს; • მოქმედებს უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად და ადაპტირდება სამართლებრივი გარემოს ცვლად პირობებთან.
სწავლა-სწავლების მეთოდები;	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს და ითვალისწინებს სწავლება-სწავლის აქტიურ, მრავალფეროვან და შედეგზე ორიენტირებულ მეთოდებსა და აქტივობებს. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიზნად ისახავს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრავს შესაბამის სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტუდენტთა თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სწავლების მეთოდებისა და აქტივობების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის შინაარსი, მიზნები და სწავლის შედეგები, ასევე ბაკალავრიატის საფეხურის სპეციფიკა. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული საქმიანობა და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს; : წიგნზე მუშაობა; წერიითი სამუშაო; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brainstorming); ანალიზი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD); როლური და სიტუაციური თამაშები; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); ევრისტიკული მეთოდი; გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა); პრაქტიკული მეთოდები.დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გუნდური (collaborative) მუშაობა;

	დისკუსია-დებატები, ეთიკური ნორმებით მოქმედებითა და არგუმენტაციის უნარების გამოვლენის მიზნით. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (G) ფრიადი – 91-100 ქულა; (H) მაღიან კარგი – 81-90 ქულა; (I) კარგი – 71-80 ქულა; (J) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (K) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (L) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამართლის შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფს პროფესიული და სამეცნიერო კომპეტენციების სრულყოფას, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულის შემდგომ პროფესიულ განვითარებას. კურსდამთავრებულს ასევე აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს სწავლა სხვა დარგის სამაგისტრო

	პროგრამებზე, თუკი აღნიშნული პროგრამის მიღების პირობებში არ არის მოთხოვნილი კონკრეტული სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
დასაქმების სფერო	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, სადაც საჭიროა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განხორციელებას შეძლებს შემდეგ სფეროებში: • საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; • სასამართლო ორგანოებში; • მაკონტროლებელ უწყებებში; • საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში; • კერძო სამართლის იურიდიულ პირებში; • არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცველ ორგანიზაციებში; • სამართალდამცავ, საგამომიებო ორგანოებში და პროკურატურაში; • აუდიტორულ და საკონსულტაციო ფირმებში სამართლებრივი მომსახურების მიმართულებით; • ადგილობრივ თვითმმართველობაში იურიდიული მრჩეველის ან სხვა შესაბამისი პოზიციებზე; • საინფორმაციო და მედიასაშუალებებში, როგორც სამართლის ექსპერტი ან ანალიტიკოსი. კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო და საარბიტრაჟო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი რეგულაციებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

საჯარო მმართველობა

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საჯარო მმართველობის ბაკალავრი/Bachelor of Public Administration
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	180 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	3 წელი
სწავლების გადასახადი	2500 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ზურაბ აზნაურაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: 599 98 11 55 ელ. მისამართი: z.aznaurashvili@eeu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ამასთან, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში ან სამოქალაქო განათლებაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის

	წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამის მიზანი	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: - შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის ორგანიზების, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის/კოორდინაციის, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო სერვისების მართვის, საჯარო ფინანსების მართვის, ასევე ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების შესახებ; - გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირების, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების ამოცნობის და მათ გადასაჭრელად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენების უნარი; - გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროსთვის დამახასიათებელი განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების მოძიების, შეგროვების, დამუშავების და განმარტების, მმართველობითი გადაწყვეტილებების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების, საჯარო მმართველობის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შემუშავების უნარი; - გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პროცესების ანალიზის, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და საკუთარი იდეების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმებით კომუნიკაციის უნარი; - გამოუმუშავოს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის, ასევე ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 180 ECTS კრედიტს,

	ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სასწავლო სემესტრს ანუ 3 წელს შეადგენს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	135 ECTS - რაც მოიცავს როგორც სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს (120 ECTS), ასევე ისეთ სასწავლო კომპონენტებს, როგორიცაა საბაკალავრო ნაშრომი (8 ECTS) და სასწავლო პრაქტიკა (7 ECTS).
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	15 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	24 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	15 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: 1. აღწერს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს, პრინციპებს, დარგის განვითარების ეტაპებს, ტენდენციებს, საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის ძირითად პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, მმართველობითი პროცესის ინოვაციურ და ეფექტურ ინსტრუმენტებს, შედეგზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის საჭირო მექანიზმებს, ადგილობრივი თვითმმართველობის არსს, სისტემას, პრინციპებს, სტრუქტურას, ძირითადი ნიშნებს, საჯარო სექტორში პოლიტიკის წარმოებისა და კოორდინაციის მექანიზმებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტებს, კარიერული და პროფესიული განვითარების პრინციპებს, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, საჯარო სერვისების წარმოებისა და მიწოდების სტანდარტებს, ინოვაციებით მართვისა და ციფრული მმართველობის ინსტრუმენტებს, საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლებს, ბიუჯეტის მართვის სტანდარტებს, ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის მართვის მექანიზმებს, ასევე „კარგი მმართველობის“

სტანდარტებსა და მათი განხორციელების ინსტრუმენტებს;

2. ხსნის საჯარო მმართველობის პროცესების სპეციფიკას, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვისა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობას.

უნარები

3. ამოიცნობს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით, შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს;

4. მოძიებს, აგროვებს, ამუშავებს და განმარტავს საჯარო მმართველობის სფეროსთვის დამახასიათებელ განყენებულ მონაცემებს ან/და სიტუაციებს, შეიმუშავებს მმართველობითი გადაწყვეტილებების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების პროექტებს, საჯარო მმართველობის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს (ნაშრომს), წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

5. აანალიზებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პროცესებს, საჭირო ლიტერატურას, მეცნიერულ სიახლეებს, აყალიბებს საჯარო მმართველობის კონკრეტული სფეროების მოდერნიზაციის, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების ან/და საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის თაობაზე არგუმენტირებულ დასკვნებს, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;

6. მსჯელობს საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით განხორციელებელი სიღრმისეული რეფორმების შედეგების, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

7. წარმართავს საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე, ავლენს ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;

8. საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების გადაჭრისას მოქმედებს კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობითა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, იცავს ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებს, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაწილეობისას პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს.

სწავლა-სწავლების მეთოდები;	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა; წერითი სამუშაო; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brainstorming); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD); როლური და სიტუაციური თამაშები; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); ევრისტიკული მეთოდი; გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა); პრაქტიკული მეთოდები; დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გუნდური (collaborative) მუშაობა; როლური და სიტუაციური თამაშები; ევრისტიკული მეთოდი; დისკუსია-დებატები, ეთიკური ნორმებით მოქმედებითა და არგუმენტაციის უნარების გამოვლენის მიზნით. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
--	--

სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.
დასაქმების სფერო	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო სექტორში, სადაც მოითხოვება საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. კერძოდ: • საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციულ რგოლებში; • ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში;

- | | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none">• საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;• შესაბამისი პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში. |
|--|--|

საერთაშორისო ურთიერთობები

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/Bachelor of International Relations
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	190 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	3 წელი
სწავლების გადასახადი	2500 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	გიზო ჭელიძე, ასოცირებული პროფესორი, ტელ.: 599 06 99 12, ელ. მისამართი: g.chelidze@eeu.edu.ge სოფო ჩქოფოია, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტელ.: 593 72 71 24, ელ. მისამართი: sopo.chkopoia@eeu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურპროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამის მიზანი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • შესძინოს ფართო და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების, მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, დიპლომატიის ისტორიისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების, საჯარო პოლიტიკის, საქართველოს საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიების, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების, ასევე ევროკავშირის ისტორიისა და ინსტიტუტების შესახებ; • გამოუმუშავოს შესაბამისი თეორიული მიდგომებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობის, ანალიზისა და გადაწყვეტის, ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის, ასევე კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავების უნარები; • გამოუმუშავოს პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკური მოქმედების, გუნდური მუშაობისა და საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების უწყვეტი განვითარების უნარი.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. ერთი ECTS კრედიტი შეესაბამება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის მოცულობით და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 190 ECTS კრედიტს. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 6 სასწავლო სემესტრს ანუ 3 აკადემიურ წელს. პირველ და მეორე აკადემიურ წლებში სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვა შეადგენს 60 ECTS კრედიტს, ხოლო მესამე აკადემიურ წლის დატვირთვა შეადგენს – 70 ECTS კრედიტს. შესაბამისად, პირველი ხუთი სემესტრის სასწავლო დატვირთვა შეადგენს სემესტრში 30 ECTS კრედიტს, ხოლო მეექვსე სემესტრის დატვირთვა – 40 ECTS კრედიტს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	125 ECTS - რაც მოიცავს როგორც სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს(105 ECTS), ასევე სასწავლო პრაქტიკას (10 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასაც (10 ECTS).

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	30 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	15 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: LO1. აღწერს და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ცნებებს, თეორიებსა და კონცეფციებს, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების, გლობალიზაციისა და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე ტენდენციებს, საჯარო პოლიტიკის მეთოდებს, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტის გამოვლენის ფორმებს, თანამედროვე ეკონომიკური მოდელებსა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენციებს და ფუნქციებს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის საფუძვლებს, ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, ასევე ქვეყნის ინტეგრაციის პროცესებს საერთაშორისო და რეგიონულ სტრუქტურებში. უნარები საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: LO2. აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ პროცესებსა და პრობლემებს, იყენებს შესაბამის თეორიულ მიდგომებსა და ზოგად მეცნიერულ მეთოდებს მათი შეფასებისა და გადაწყვეტისთვის; LO3. მოიძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ინფორმაციასა და მონაცემებს ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ძირითადი მეთოდების, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენებით;

	LO4. აფასებს და ასაბუთებს საკუთარ პოზიციებსა და დასკვნებს შესაბამისი სამეცნიერო, სოციალური და ეთიკური კონტექსტის გათვალისწინებით; LO5. შეიმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს ეთიკის ნორმების დაცვით, აკადემიური მითითებების შესაბამისად; LO6. ეფექტიანად გადმოსცემს და ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერილობითი ფორმით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: LO7. მოქმედებს პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, აცნობიერებს საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგებს და იღებს პასუხისმგებლობას როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ საქმიანობაზე; LO8. ავლენს პროფესიული განვითარების, საკუთარი კომპეტენციის ფარგლების გაცნობიერებისა და ცოდნის უწყვეტი განახლების უნარს „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის შესაბამისად.
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • უახლეს ასპექტებზე დაყრდნობით შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მახასიათებლების, შესაბამისი თეორიების, ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის, ბავშვებთან კომუნიკაციისა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიების, დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპების, მშობლებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის პრინციპებისა და სტრატეგიების, გუნდური მუშაობის პრინციპების, სკოლამდელი განათლების სტრატეგიებისა და პრინციპების, ადრეული ასაკის ბავშვზე ზრუნვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საფუძვლების, ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ, რაც სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების კრიტიკულ გააზრებას მოიცავს; • გამოუმუშავოს სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობისა და შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების შემუშავების უნარი; • გამოუმუშავოს ადრეული განათლების სფეროში, ეთიკის ნორმების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შემუშავების, ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე ბავშვის ადრეული განათლებისა და განვითარების საკითხებზე, მათ შორის, ბავშვისა და ოჯახის უფლებებზე ინფორმაციის, მონაცემების მოძიების, შეგროვებისა და განმარტების, ასევე კვლევის ძირითადი მეთოდების გამოყენებით სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემების ანალიზის უნარი; • გამოუმუშავოს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარი იდეების, პოზიციების/დასკვნების ზეპირი და წერიტი ფორმით დასაბუთების უნარი; • გამოუმუშავოს ზედამხედველობის გარეშე, ეთიკის პრინციპების დაცვით, სკოლამდელი განათლების

	დაწესებულებაში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის, მრავალფეროვან სოციო-კულტურულ გარემოში მუშაობის, ასევე საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
პროგრამის მოკლე აღწერა	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. საბაკალავრო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 200 ECTS კრედიტს. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 6 სასწავლო სემესტრს ანუ 3 აკადემიურ წელს. პირველ აკადემიურ წელს სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვა შეადგენს 60 ECTS კრედიტს, ხოლო მეორე და მესამე აკადემიური წლების დატვირთვა შეადგენს – 70 ECTS კრედიტს. შესაბამისად, პირველი ორი სემესტრის სასწავლო დატვირთვა შეადგენს სემესტრში 30 ECTS კრედიტს, ხოლო დანარჩენი 4 სემესტრის სემესტრის დატვირთვა – 35 ECTS კრედიტს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	160 ECTS - რაც მოიცავს როგორც სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს(113 ECTS), ასევე დაკვირვებით, მონაწილეობით და აქტიურ სასწავლო პრაქტიკებს 40 ECTS -ის მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომს 10 ECTS.
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	10 ECTS
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	25 ECTS
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	5 ECTS

ცოდნა და გაცნობიერება:

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მახასიათებლებს, შესაბამის თეორიებს, ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, ბავშვებთან კომუნიკაციისა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიებს, დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს, მშობლებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის პრინციპებსა და სტრატეგიებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, სკოლამდელი განათლების სტრატეგიებსა და პრინციპებს, ადრეული ასაკის ბავშვზე ზრუნვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საფუძვლებს, ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, რაც მოიცავს სკოლამდელი განათლების სფეროში თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს;
2. განსაზღვრავს ბავშვის ადრეული განვითარების მნიშვნელობას ჰოლისტიური პერსპექტივიდან გამომდინარე, თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას და ამ პროცესში ბავშვის აქტიურ როლს, სოციალური მრავალფეროვნების კონტექსტის მნიშვნელობას, საბავშვო ბაღის და თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობას, მშობლების როლსა და მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში, ასევე დემოკრატიული და კრიტიკულად რეფლექსიური მიდგომის მნიშვნელობას სამუშაო პროცესში.

უნარები

პროგრამის კურსდამთავრებული:

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

3. ამოიცნობს სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და ინოვაციურობისა და შემოქმედებითობის შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს;
4. გეგმავს და ატარებს სკოლამდელი განათლების სფეროში პრაქტიკის კვლევას, ეთიკის ნორმების დაცვით შეიმუშავებს ადრეული განათლების სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს (ნაშრომს), წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
5. ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე მოიძიებს, აგროვებს და განმარტავს ბავშვების ადრეული განათლებისა და განვითარების საკითხებთან, ასევე ბავშვისა და ოჯახის უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და მონაცემებს, ანალიზებს სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ყველა ძირითადი მეთოდის, ასევე ზოგიერთი უახლესი ბაზისური სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით;

6. ადგილობრივ თემში ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სერვისების ჩამოყალიბების, ასევე სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ინკლუზიური პრაქტიკის განმტკიცების თაობაზე აყალიბებს სათანადო დასკვნებსა და მიდგომებს შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო ან/და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
7. მონაწილეობს სკოლამდელი განათლების სფეროსთან დაკავშირებულ დისკუსიებში, ბავშვის ინტერესების კონტექსტიდან გამომდინარე მსჯელობს საკუთარი იდეების, სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან წერითი და ზეპირი ფორმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

8. ზედამხედველობის გარეშე, ეთიკის პრინციპების დაცვით, წარმართავს სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას
9. ავლენს „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით ცოდნის მუდმივად განახლების უნარებს.

სწავლა-სწავლების მეთოდები	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
---	--

სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.
დასაქმების სფერო	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განათლების საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში,

როგორც საგანმანათლებლო (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, პროგრამის სპეციალისტი, მეთოდისტი), ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე:

- ფორმალურ და არაფორმალურ ადრეული და სკოლამდელი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებში;
- ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან თემატურად დაკავშირებულ გარემოში (მაგალითად, ადრეული ინტერვენციის სერვისები, მუზეუმები, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბავშვო ბიბლიოთეკები და სხვ.).
- კვლევით ორგანიზაციებში - მკვლევარის ასისტენტი, დამწყები მკვლევარი, მონაცემთა ინტერვიუერი;
- სხვა ტიპის ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და ზრუნვის დაწესებულებებსა და პროგრამებში.

სამაგისტრო პროგრამები

სამართალი

პროგრამის სახელწოდება	სამართალი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამართლის მაგისტრი/Master of Law
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	120 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების გადასახადი	3500 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ზვიად როგავა, სამართლის დოქტორი პროფესორი (საქართველო); საკონტაქტო ინფორმაცია, ელ ფოსტა: zrogava@eeu.edu.ge ტელ: 599252552,

**პროგრამაზე დაშვების
წინაპირობა**

სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისური ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ მიზნით და წერით გამოცდას (ტესტირებას) სპეციალობაში, სტუდენტის არჩევანის საფუძველზე, ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების, აკადემიური პატიოსნების წესების, იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდების, სამოსამართლო სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციების, მოსამართლეთა ქცევის სტანდარტების, სასამართლო ეთიკის ნორმების, ევროკავშირის სამართლის წყაროების, ასევე საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მეცნიერების, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის თანამედროვე მიღწევების, სისტემური გამოწვევებისა და განვითარების ტენდენციების შესახებ; • განუვითაროს სამართლებრივი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების, კომპლექსური სამართლებრივი ანალიზისა და პრობლემის გადაჭრის, სამართლებრივი კომუნიკაციის, ასევე სამართლებრივი კვლევის, ინფორმაციის მართვის, არგუმენტაციისა და აკადემიური წერის უნარები; • გამოუმუშავოს ეთიკური და პროფესიული ქცევის, ასევე გუნდური მუშაობისა და პროფესიული განვითარების უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 კრედიტს (ECTS), ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა – 30 კრედიტს (ECTS). შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	90 ECTS - რაც მოიცავს პროგრამის. I. სავალდებულო სასწავლო კურსების (18 ECTS); II. საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის მიმართულების სავალდებულო (18 ECTS) და III. იურიდიული კლინიკის სახით (18 ECTS). საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს მხოლოდ ერთი მიმართულება.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	36 ECTS - სტუდენტს უფლება აქვს მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, საგანმანათლებლო პროგრამის სხვა მიმართულებიდან, წინაპირობების დაცვით, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი,
სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტი	30 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • ხსნის სამოსამართლო სამართლის განვითარების ძირითად ტენდენციებს, მოსამართლეთა ქცევის სტანდარტებს, სასამართლო ეთიკის ნორმებსა და დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს; • განმარტავს ევროკავშირის სამართლის წყაროებსა და ასოცირების შეთანხმების ძირითად დებულებებს; ხსნის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ევროკავშირის სამართლის ინტეგრაციის და ქართული სამართლის ევროპეიზაციის ასპექტებს; • აღწერს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მეცნიერების, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის თანამედროვე მიღწევებს, სისტემურ გამოწვევებს, განვითარების ტენდენციებს, მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს. • ხსნის სამართლებრივი დოქტრინის, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის როლს სამართლის განვითარებაში; • აღწერს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო ეთიკის საკითხებსა და სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურისა და ფორმირების წესებს; • განმარტავს იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს (დოქტრინული, შედარებითი, ნორმატიული, ემპირიული) და მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდებსა და სტრატეგიებს. უნარები სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • აანალიზებს რთულ სამართლებრივ შემთხვევებს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ინტეგრაციით; • სისტემურად აფასებს მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ინიციატივებსა და უახლეს მეცნიერულ კვლევებს; • აფასებს სამართლებრივი მოწესრიგების ხარვეზებს და ასახულებს მათი გაუმჯობესების პრაქტიკულ გზებს; • იყენებს ინოვაციურ და სტრატეგიულ მიდგომებს რთული კვლევითი და პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად; • შეიმუშავებს არგუმენტირებულ სამართლებრივ შეფასებებს რთულ და არასტანდარტულ შემთხვევებზე. • გეგმავს და ახორციელებს დამოუკიდებელ სამართლებრივ კვლევას მრავალფეროვან აკადემიურ და პრაქტიკულ წყაროებზე დაყრდნობით;

- იყენებს იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს (დოქტრინული, შედარებითი, ნორმატიული, ემპირიული) და აკადემიური წერის სტანდარტებს;
- აგროვებს, აფასებს და მართავს სამართლებრივ ინფორმაციას;
- ავითარებს არგუმენტირებულ, დამოუკიდებელ პოზიციებს სამართლის აქტუალურ საკითხებზე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით;
- ამზადებს სტრუქტურულად გამართულ, ლოგიკურად არგუმენტირებულ, ორიგინალურ და სანდო კვლევით ნაშრომს ან პროექტს.
- მკაფიოდ და პროფესიულად წარადგენს სამართლებრივ პოზიციებს ზეპირი და წერილობითი ფორმით, იურიდიული ტერმინოლოგიისა და სტილის გამოყენებით;
- ახორციელებს სამართლებრივ კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ისე ფართო საზოგადოებასთან გასაგებად და ადაპტირებულად;
- განიხილავს კვლევით დასაბუთებულ პოზიციებს ეთიკურად და კრიტიკულად;
- იცავს პროფესიულ და აკადემიურ ეთიკას კომუნიკაციის პროცესში, მათ შორის მოლაპარაკებებსა და იურიდიულ დისკუსიებში.
- იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულად, რეალურ პრაქტიკულ და სიმულაციურ გარემოში;
- მონაწილეობს იმიტირებულ პროცესებსა და მოდელირებულ განხილვებში შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დაცვით;
- იღებს პროფესიულ გადაწყვეტილებებს დავებზე სიმულაციურ და რეალურ გარემოში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- იცავს იურიდიული ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტებს სხვადასხვა პროფესიულ გარემოში;
- აფასებს საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებს და იღებს პასუხისმგებლობას მათ შედეგებზე;
- იცავს სამეცნიერო კვლევის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს სწავლისა და კვლევის პროცესში;
- აფასებს საკუთარ პროფესიულ ქცევას და ავლენს კეთილსინდისიერებასა და თვითრეფლექსიის უნარს პროფესიული საქმიანობის პროცესში.
- ადაპტირდება სამართლებრივი გარემოს ცვლილებებთან და ითვალისწინებს ახალ საკანონმდებლო ან პროფესიულ ტენდენციებს საქმიანობაში;
- ავითარებს დამოუკიდებელი სწავლების, თვითგანვითარებისა და უწყვეტი პროფესიული წინსვლის სტრატეგიებს;
- თანამშრომლობს პროფესიულ გუნდში, მონაწილეობს ერთობლივ გადაწყვეტილების მიღებაში და იზიარებს ჯგუფურ პასუხისმგებლობას;
- აჩვენებს თვითორგანიზების, დროის მართვის, პრიორიტეტების სწორად დადგენისა და პროფესიული ლიდერობის უნარს სამართლებრივი ამოცანების დაგეგმვასა და მართვაში.

სწავლა-სწავლების მეთოდები	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს და ითვალისწინებს სწავლება-სწავლის აქტიურ, მრავალფეროვან და შედეგზე ორიენტირებულ მეთოდებსა და აქტივობებს. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიზნად ისახავს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრავს შესაბამის სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტუდენტთა თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სწავლების მეთოდებისა და აქტივობების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის შინაარსი, მიზნები და სწავლის შედეგები, ასევე სამაგისტრო საფეხურის სპეციფიკა. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული საქმიანობა და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში (Brainstorming), გუნდური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება), დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, ევრისტიკული მეთოდი, ვერბალური ახსნა-განმარტება, პრაქტიკული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა), როლური და სიტუაციური თამაშები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), შემთხვევის ანალიზი (Case study). სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

	ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

დასაქმების სფერო	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, სადაც საჭიროა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შევიდეს მოსამართლის პროფესიაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
--------------------------------	--

საჯარო მმართველობა

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საჯარო მმართველობის მაგისტრი/ Master of Public Administration
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	120 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების გადასახადი	3000 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ზურაბ აზნაურაშვილი, საჯარო მმართველობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. პროფესორი. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: zurab.aznaurashvili@eeu.edu.ge ; ტელ.: 599981155; სოფო ჩქოფოია, სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: sopo.chkopoia@eeu.edu.ge ; ტელ.: 593727124
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები მოიცავს: წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, რომლის მიზანია ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურება; წერით გამოცდას (ტესტირებას) სპეციალობაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, ჩატარების პროცედურა, საგამოცდო საკითხები (ტესტის ნიმუშები) და შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://eeu.edu.ge)

	გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი ვალდებულია აკმაყოფილებდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს (IELTS, TOEFL, Cambridge English, TOEIC, BULATS, Aptis და სხვ.) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის სერტიფიკატს (CERTUS), ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.
პროგრამის მიზანი	საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის პრინციპებისა და კონცეფციების, საჯარო დაწესებულებებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებისა და ტექნიკების, ინოვაციური მართვის სტრატეგიების, საჯარო მმართველობის ძირითადი მიმართულებების და მექანიზმების, ადმინისტრაციული წარმოების სახეების, სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებების, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებისა და მათი რეალიზების თავისებურებების, შედარებითი საჯარო მმართველობის კონტექსტში თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების, ასევე აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების და სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ; • გამოუმუშავოს საჯარო სექტორში სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების, სტრატეგიული პრიორიტეტების, პროგრამებისა და პროექტების, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში არსებული რთული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავების უნარი; • გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროში არსებული რთული პრობლემების ამოცნობის, საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვისა და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დამოუკიდებლად შეიმუშავების უნარი; • გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან ფართო სპექტრის მონაცემების, უახლესი მეცნიერული კვლევების მოიძიების, ანალიზისა და კრიტიკულად შეფასების, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი არგუმენტირებული დასკვნების შემუშავების უნარი;

	- გამოუმუშავოს ქართულ და ინგლისურ ენებზე აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების, წერიტი და ზეპირი ფორმით წარდგენის უნარი; - გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროში ეთიკური სტანდარტებით მოქმედების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის, საკუთარ ქცევასა და გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. საჯარო მმართველობა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა - 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	75 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	15 ECTS
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი	30 ECTS

ცოდნა და გაცნობიერება:

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის კლასიკურ და თანამედროვე კონცეფციებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის ამოცანებს, საჯარო მმართველობის პრინციპების სტრუქტურას, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ევროპის ქვეყნების საჯარო მმართველობის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და უფლებამოსილებებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, „კარგი მმართველობის“ პრინციპებს, კონცეფციებსა და სტანდარტებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანსა და კორუფციული რისკების პრევენციულ მექანიზმებს, საჯარო ფინანსების მართვის პრინციპებსა და მექანიზმებს, სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მექანიზმებს, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპებს, საჯარო პოლიტიკის ანალიზის მოდელებს, რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) მიზნებს, პრინციპებს და შინაარსს, რეგულირების გავლენის შეფასების ძირითად კომპონენტებს, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციურ სტრატეგიებს, საჯარო სექტორში უწყვეტი პროფესიული და კარიერული განვითარების ინსტრუმენტებს, საჯარო სერვისებისა და პროექტების მართვის სახეებს, ძირითად პრინციპებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ასევე აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა, კვლევის ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს;
2. განსაზღვრავს ევროკავშირის როლს საქართველოს სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო სამსახურის ინსტიტუციური განვითარების პროცესში, ასევე კარგი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის კონსტიტუციური ვალდებულებისა გათვალისწინებით, საჯარო სექტორის მრავალდონიანი მართვის მოდელში, მმართველობის განვითარების ტენდენციებს.

უნარი

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

3. შეიმუშავებს საჯარო მმართველობის სფეროში ინოვაციურ იდეებს, კონსტრუქციულ მმართველობით გადაწყვეტილებებს, საჯარო სექტორში სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, პროგრამებსა და პროექტებს, კვლევაზე დაფუძნებულ ანალიტიკურ ანგარიშებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში არსებული რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;

4. ამოიცნოს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ რთულ პრობლემებს, საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს (ნაშრომს);
5. სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, მოიძიებს, აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ფართო სპექტრის რთულ ან არასრულ ემპირიულ ინფორმაციას, პირველად მონაცემებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და, კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებისა და საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე შეიმუშავებს შესაბამის არგუმენტირებულ დასკვნებს;
6. აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წარუდგენს მმართველობის სფეროში არსებული გამოწვევების, საჯარო მმართველობის სისტემის გაუმჯობესების, მმართველობის კონკრეტული სფეროების მოდერნიზაციის, ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის, საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის თაობაზე საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წერითი და ზეპირი ფორმით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

7. ავლენს საჯარო მმართველობის სფეროში სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
8. ცნობს საჯარო მმართველობის სფეროში ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, იცავს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს, ადამიანის უფლებებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე და გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებაზე საერთო გუნდური გადაწყვეტილების მიღებისას.

სწავლა-სწავლების მეთოდები	საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობაარ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.
დასაქმების სფერო	საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო სექტორში, სადაც მოითხოვება საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხი, კერძოდ: • სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებში - მთავრობის ადმინისტრაციაში, სამინისტროებში, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში; • მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, მუნიციპალიტეტებს მიერ დააფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებში; • საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ი /Master of Business Administration
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	70 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	1 წელი
სწავლების გადასახადი	3500 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ლალი ჩაგელიშვილი, პროფესორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: lali.chagelishvili@eeu.edu.ge; ტელ: 599 274 443 თამთა ლეკიშვილი, ასოცირებული პროფესორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: T.Lekishvili@eeu.edu.ge; ტელ: 595 908 010
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური განათლების მქონე პირს, რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე. პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს, უნივერსიტეტს მიმართავს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე რეგისტრაციის მიზნით, რაც მოიცავს გასაუბრებას შესარჩევ კომისიასთან და ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას. ამასთან სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობად ჩაითვლება პრეტენდენტის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება; - მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრება) სპეციალობაში. - მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან შეფასებისა და

	გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ასევე მობილობის საფუძველზეც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს. ▪ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. ▪ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://eeu.edu.ge)
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია: • სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ინტეგრირებული, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და განუვითაროს სტრატეგიული და ანალიტიკური აზროვნების უნარები; • მოამზადოს კურსდამთავრებული ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელებისთვის თანამედროვე, დინამიკურად ცვალებად ბიზნეს გარემოში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.
პროგრამის მოკლე აღწერა	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია ACQUIN ევროპული სააგენტოსა და საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია საქართველოში სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აგების პრინციპების დაცვით. პროგრამის სტრუქტურაში 50 ECTS კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო არჩევითი კურსებისთვის, ხოლო მეორე სემესტრის ბოლოს პროგრამის სტუდენტები ასრულებენ შემაჯამებელ სამაგისტრო პროექტს (Capstone Project) – 10 ECTS კრედიტის მოცულობით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ე.წ. „პრაქტიკის შერეული მოდელი“-ს სახით, კერძოდ

	პროგრამის ცალკეულ თეორიულ კურსებში ჩაშენებულია პრაქტიკის კომპონენტები.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	50 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	10 ECTS
კვლევითი კომპონენტი	10 ECTS - შემაჯამებელი სამაგისტრო პროექტი
	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: • არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა; • სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარმოდგენის უფლება, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის უფლებას. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფით შეფასების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა.
დასაქმების სფერო	განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური თანამდებობების დაკავება, კვლევითი საქმიანობის განხორციელება და სწავლება. განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: • განათლებისა და მეცნიერების სფეროს სამთავრობო დაწესებულებებში, მის სტრუქტურულ ერთეულებში, ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე სამთავრობო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში; • უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში; • პროფესიულ საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; • საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებში; • საკონსულტაციო და/ან საექსპერტო საქმიანობის განმახორციელებელ განათლების სფეროს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; კურსდამთავრებული შეძლებს განათლების სფეროში მართოს კვლევითი პროექტები, იყოს განათლების სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტი/კონსულტანტი.

უმაღლესი განათლების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი მიმართულების/საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მითითებით.
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	60 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	1 წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი: ეკატერინე გიგაშვილი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ელ. მისამართი: eka.gigashvili@eeu.edu.ge ; ტელ.: 577151221,

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მქონე პირს, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების” წესით განსაზღვრული საგნის გამოცდა, შერჩეული მოდულის მიმართულებით და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საგნის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირ გამოცდას (გასაუბრება). შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/თემატიკა და კანდიდატთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://eeu.edu.ge)
პროგრამის მიზანი	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: • მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის შესაბამისი საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მოქალაქეობა, ინგლისური ენა) მასწავლებელი, რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ღირებულებები; • შესძინოს დარგის კონცეპტუალური ცოდნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვასა და შეფასების თავისებურებების, მოსწავლეთა პიროვნული, სოციალურ-ემოციური, კოგნიტურ განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების, უსაფრთხო, პოზიტიური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ბავშვის უფლებათა ზოგადი არსისა და სტანდარტის დაცვით ფორმირების, სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპების, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების დიფერენცირებული სტრატეგიების, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების, ზოგადი განათლების სამართლებრივი ჩარჩოს, კლასის მართვის ძირითადი პრინციპების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, საკუთარი და კოლეგების პროფესიული განვითარებისთვის თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობის შესახებ; • გამოუმუშაოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენების, კლასის მართვისთვის აუცილებელი აკადემიური უნარების დემონსტრირების, ზოგადი განათლების სფეროში, ეთიკის ნორმების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შემუშავების, სხვადასხვა წყაროდან მონაცემების მოძიების, შეგროვებისა და კრიტიკულად შეფასების უნარები; • გამოუმუშავოს სასკოლო საზოგადოებასთან სასწავლო და საზოგადოებრივი მიზნებისთვის თანამშრომლობის, საკუთარი და გუნდის წევრთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, პედაგოგიურ

	პრაქტიკაში სიახლეების მიღებისა და დანერგვის, ასევე, საკლასო და სამუშაო გარემოს მართვისას პროფესიულ ეთიკასა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 60 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა - 30 კრედიტს. შესაბამისად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 სასწავლო სემესტრს ანუ 1 წელს შეადგენს. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან: პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული - 32 კრედიტი (მოიცავს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილია 26 კრედიტი, ხოლო 6 კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთს); საგნობრივი მეთოდოც(ებ)ის მოდული - მოიცავს 12 კრედიტს, მათ შორის, 6 კრედიტი ეთმობა სწავლების ზოგად სტრატეგიებსა და მეთოდებს, ხოლო 6 კრედიტი განკუთვნილია კონკრეტული საგნის სწავლებისთვის სპეციფიკური მეთოდებისა და სტრატეგიების შესწავლისა და მათი პრაქტიკული გამოყენებისთვის. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით მასწავლებლის მომზადება: სახელმწიფო ენა -ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა - მათემატიკა; უცხოური ენები - პირველი უცხო ენა-ინგლისური ენა; საზოგადოებრივი მეცნიერებები - მოქალაქეობა; სასკოლო პრაქტიკისა და კვლევის მოდული - 16 კრედიტი (საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მათ შორის 6 კრედიტი განკუთვნილია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისთვის (ჩაშენებული პრაქტიკით), ხოლო 10 კრედიტი ეთმობა სკოლაში აქტიურ პრაქტიკას; სასკოლო პრაქტიკის მიზანია, პროგრამაზე ჩარიცხულ პირათათვის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობა. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, სასწავლო კურსების მიხედვით შესაძლებელია როგორც კვლევის მეთოდების გამოყენებით საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვება, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადადგენა და გრძელვადიანი პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე აუდიტორიაში სიმულაციურ პროცესებში უკუკავშირის მიღება (ქოუჩინგი და მომზადება აქტიური პრაქტიკისთვის). აქტიური პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებულია მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებში/სკოლებთან, სადაც მსენელები გადიან აქტიურ სასკოლო პრაქტიკას, ატრებენ გაკვეთილებს შესაბამისი საგნობრივი მიმართულებით.
ძირითადი სწავლის	36 ECTS - რაც მოიცავს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის სავალდებულო კურსებს 26 ECTS და აქტიურ

სფეროს სავალდებულო კურსები	პედაგოგიურ პრაქტიკას 10 ECTS მოცულობით და სავალდებულო არჩევით საგნობრივი მეთოდების მოდულს 12 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	6 ECTS
კვლევითი კომპონენტი	პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა (კვლევა ჩაშენებული პრაქტიკით) 6 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: 1. აღწერს და განმარტავს მოსწავლის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითად თეორიებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის (მათ შორის კლასგარეშე აქტივობების) დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასებისთვის აუცილებელ თანამედროვე პედაგოგიურ თეორიებს, პრინციპებს, მეთოდებს, საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს, კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ზოგადი განათლების სამართლებრივ ჩარჩოსა და ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტებს, განათლების კომპლექსურობას; ასევე, აღწერს უსაფრთხო, ინკლუზიურ, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის თანამშრომლობითი გარემოს, პროფესიული განვითარებისა და ეთიკის მნიშვნელობას. 2. მიზნობრივად იყენებს კლასის მართვისა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაციის ეფექტიან სტრატეგიებს თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების, მოსწავლეთა თვითრეგულირებადი ქცევისა და პოზიტიური ურთიერთობების დამკვიდრებისთვის; ასევე, იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების მიდგომებსა და სტრატეგიებს, მ.შ. უნივერსალური დიზაინისა და რემედიაციული სწავლების მიდგომებს, ციფრულ ტექნოლოგიებს, მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს, სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიებს, რითაც ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბებას, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სასწავლო პროცესში ინტეგრირებასა და სასწავლო გეგმით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. 3. შეიმუშავებს/მოდულირებს/ანალიზებს შესაბამისი საგნის გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების ანალიზის, შიდასაგნობრივი და საგანთშორისი კავშირების გათვალისწინებით, კლასგარეშე აქტივობების გეგმას, შეფასების სქემებსა და რუბრიკებს მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. 4. გეგმავს და ატარებს ზოგადი განათლების სფეროში პრაქტიკის კვლევას, ეთიკის ნორმების დაცვით შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს (ნაშრომს), წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; უნარი

	ასევე, სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიებს და კრიტიკულად აფასებს განათლების მეცნიერებებში უახლეს მეცნიერულ კვლევებსა და ტენდენციებს; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა 5. ავლენს „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით ცოდნის მუდმივად განახლების, პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების მიღებისა და დანერგვის, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პროფესიული ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს დაცვის უნარებს, ასევე ავლენს ყურადღებიან და ემპათიურ დამოკიდებულებას მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მიმართ. 6. პატივს სცემს ბავშვთა უფლებების დაცვის, განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, კონფლიქტებისგან თავისუფალი, მოსწავლისადმი კეთილგანწყობილი, აკადემიური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაში.
სწავლა-სწავლების მეთოდები	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: • დისკუსია/დებატები, • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, • ჯგუფური (collaborative) მუშაობა, • დემონსტრირება,

	• ახსნა-განმარტება, • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, • დედუქცია, • ინდუქცია, • ანალიზი, • გონებრივი იერიში, • შემთხვევების ანალიზი (Case study), • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), • პორტფოლიო, • შებრუნებული საკლასო ოთახი და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

	ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული სერტიფიკატი არ წარმოადგენს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე დაშვების/სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას
დასაქმების სფერო	მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ პირს უფლება ექნება, იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში შესაბამისი საფეხურის/საფეხურების და საგნის/საგნების მასწავლებლად, პროფესიული განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი საგნის მასწავლებლად, ასევე, ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებებით, განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც პროგრამის ფარგლებში განვითარებული კომპეტენციებია მოთხოვნილი.

ერთსაფეხურიანი პროგრამები

დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	დიპლომირებული მედიკოსი/Medical Doctor
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით	360 ECTS
სწავლების ხანგრძლივობა	6 წელი
სწავლების გადასახადი	5500 USD
პროგრამის ხელმძღვანელი	ნატო ალავეიძე, პროფესორი; ლიზა გოდერძიშვილი ასოც. პროფესორი; პროგრამის ხელმძღვანლის კონულტანტი კანონი რამეშ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა და ინგლისურ ენაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 85%+1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება გააჩნია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ALTE B2 დონეზე ფლობას, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესის შესაბამისად. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს მოქალაქეების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.
პროგრამის მიზანი	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა დარგის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ, ასევე ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების სფეროში; • გამოუმუშავოს პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევის, კლინიკური შემთხვევის შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობის, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს პირველადი დახმარებისა და სარეანიმაციო ღონისძიებების გაწევის, მედიკამენტების გამოწერის, ასევე პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი. • გამოუმუშავოს სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების, ასევე პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასების უნარი; • გამოუმუშავოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების, სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენების უნარი; • გამოუმუშავოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის

	საკითხებში ჩართვის, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობის უნარი; • გამოუმუშავოს საკუთარი პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის, პროფესიონალიზმის, ეთიკის პრინციპების დაცვის, სამეცნიერო კვლევისა და გლობალურ კონტექსტში საქმიანობის უნარები.
პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან ინტეგრირებულ უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 წელს ანუ 12 სემესტრს შეადგენს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. პროგრამა ითვალისწინებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას და შეესაბამება ჰარდენის შკალის VII-VIII დონეს. პროგრამაში გამოყენებულია სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები. ლექციები ინტერაქტიულია, სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), კლინიკური და პროფესიული უნარების შეფასება ხდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE). ცოდნის შეფასება ხდება დახურული და ღია კითხვებით, შემთხვევის ანალიზითა და შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრული სხვა რელევანტური შეფასების მეთოდებით. პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტები ინტეგრირებული ფორმატით სწავლობენ ბიოსამედიცინო სასწავლო კურსებს: „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები“ - უჯრედული ბიოლოგია (ინტეგრირებული ბიოქიმიასთან), მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა, „ორგანიზმის სისტემები“ (ინტეგრირებული მოდულები: ანატომია-ჰისტოლოგია-რადიოლოგია), „ორგანიზმის ფუნქცია“ (ინტეგრირებული მოდულები: ფიზიოლოგია-ბიოქიმია), იმუნოლოგია.

მესამე სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრეკლინიკური ინტეგრირებული კურსები: პათოლოგია (ინტეგრირებული ფარმაცოლოგიასთან), მიკრობიოლოგია (ინტეგრირებული ფარმაცოლოგიასთან და იმუნოლოგიასთან), დიაგნოსტიკის მეთოდები (ინტეგრირებული კურსები: ფიზიკური დიაგნოსტიკა, რადიოლოგია და ლაბორატორიული მედიცინა).

მეოთხე და მეხუთე სასწავლო წლის კლინიკური კურსები ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოსპიტალი და სხვა) კლინიკური როტაციების ფორმატით. შინაგანი მედიცინისა და ქირურგიის კურსები ინტეგრირებულია ორგანიზმის სისტემებისა და შესაბამისი თემატიკების მიხედვით: შინაგანი მედიცინა I (კარდიოვასკულარული და პულმონარული სისტემები) და ქირურგია II (გულმკერდის ქირურგია); შინაგანი მედიცინა II (საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემები, მეტაბოლიზმი) და ქირურგია III (მუცლის ღრუს ორგანოები); შინაგანი მედიცინა III (უროგენიტალური სისტემა) და ქირურგია V (უროლოგია) და ა.შ. სტუდენტები ჩართულნი არიან კლინიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში და გამოიმუშავენ ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარებს, ასევე მათ პრაქტიკაში გამოყენებას.

მეექვსე სასწავლო წელს სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური საქმიანობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს (თეორიული და პრაქტიკული კურსები): საოჯახო მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, გერიატრია, პალიატიური მედიცინა, გადაუდებელი მედიცინა, კლინიკური ფარმაცოლოგია და სხვა.

კლინიკური და პროფესიული უნარების კურსები ისწავლება 10 სემესტრის განმავლობაში. ამ სასწავლო კურსების ფარგლებში განხილული საკითხები შესაბამისობაშია სემესტრების მიხედვით განსაზღვრულ ბიოსამედიცინო და კლინიკური სასწავლო კურსების თემატიკებთან. ერთი და იგივე აქტივობით სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე (გაგება, გაღრმავება, განმტკიცება).

პირველივე სასწავლო წლიდან ყოველი სემესტრის კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ინტეგრირებულად ფასდება OSCE-ით, OSCE სადგურებზე გამოყენებულია მანეკენები, მულაჟები და სტანდარტიზებული პაციენტები.

პროგრამის სასწავლო კურსები ჯანდაცვის მიმართულებით მოიცავს შემდეგ საკითხებს და მიმართულებებს: კულტურა, გენდერი, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, დაავადებების პრევენცია, სამედიცინო სოციოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ხარისხის მართვა, გლობალური ჯანდაცვა და მდგრადობა, და ა.შ.

პროგრამა უზრუნველყოფს კვლევითი უნარების გამომუშავებას, ასწავლის კვლევის პრინციპებსა და მეთოდებს (კვლევითი უნარები I), კვლევის ინსტრუმენტებს (ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა (კვლევითი უნარები II); მტკიცებით მედიცინას (კვლევითი უნარები III)), ასევე, უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის გამოყენებას (კვლევის უნარები IV), რაც გულისხმობს XII სემესტრში სტუდენტის მიერ პროექტის შემუშავებას.

მედიცინის საფუძვლების სასწავლო კურსებში გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE). კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსები ტარდება სიმულაციურ ლაბორატორიაში და სრულდება OSCE-ით.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები	322 ECTS
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	21 ECTS
კვლევითი კომპონენტი	17 ECTS
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: A. აღწერს: • ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ სტრუქტურას მიკრო-სტრუქტურებიდან დაწყებული დამთავრებული მაკროსტრუქტურებით, ორგანიზმის, მისი სისტემებისა და ორგანოების ფუნქციას, მოლეკულური ბიოლოგიასა და ორგანიზმის ემბრიონულ განვითარებას, ორგანიზმის მეტაბოლიზმს, იმუნური სისტემის ფუნქციასა და თავისებურებებს; • ადამიანის ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოების ფიზიოლოგიის თავისებურებებს, ადამიანის ქცევის პრინციპებსა და თავისებურებებს, მოტივაციასა და ემოციებს, ემოციის საფუძვლებსა და თეორიებს; • დაავადების პათოლოგიურ სტრუქტურას, მისი განვითარების მექანიზმებს, ინფექციას, საზღვრავს ორგანიზმის რეაქციას მასზე, ორგანიზმის იმუნიტეტის თავისებურებებსა და მოქმედების მექანიზმებს; • მედიცინის სხვადასხვა სპეციალობით და ქვესპეციალობით კლინიკური მეცნიერების პრინციპებს, შინაგან დაავადებებს, ქირურგიულ დაავადებებს და ა.შ; • სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიას; სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს; მის მეთოდებსა და საშუალებებს, მტკიცებულების როლს სამედიცინო პრაქტიკაში. • წამლების გამოწერის პრინციპებს, ანტიბიოტიკების გამოყენებას და მათ მიმართ რეზისტენტობას, წამლების მოქმედების გვერდით მოვლენებს, მათ ურთიერთქმედებას, წამლების მოქმედების მექანიზმებს, ფარმაკოკინეტიკასა და ფარმაკოდინამიკას. • საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპებს, დაავადებების პრევენციის მექანიზმებს, ცხოვრების სტილს, სწორ კვებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საშუალებებს, დაავადებების სკრინინგისა და ზედამხედველობის მექანიზმებს, უუნარობას, გენდერის საკითხებს ჯანდაცვაში, კულტურისა და ეთიკის გავლენას ჯანდაცვაზე, რესურსების განაწილებასა და ჯანდაცვის მენეჯმენტს, გლობალურ ჯანმრთელობასა და უთანასწორობას.

B. განსაზღვრავს სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობას, პაციენტის უფლებებს, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპებს, ასევე ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში. განსაზღვრავს სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობას, პაციენტის უფლებებს, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპებს, ასევე ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.

უნარი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- C. უწევს პაციენტს კონსულტაციას: კრებს ანამნეზს, ატარებს პაციენტის ფიზიკურ გამოკვლევას, ავლენს კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს, აძლევს პაციენტს განმარტებებსა და რჩევებს, მხარს უჭერს პაციენტს და იცავს მის უფლებებს, აფასებს პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსს;
- D. აფასებს კლინიკურ შემთხვევას, ნიშნავს გამოკვლევებს, ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს, მსჯელობს დაავადების მართვის გეგმის შესახებ: განსაზღვრავს და აფასებს დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულეს, ნიშნავს შესაბამის გამოკვლევებს და ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას, ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას, განიხილავს დაავადების მართვის გეგმას პაციენტებთან და მათ მომვლელებთან, ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე, მართავს ქრონიკულ დაავადებას;
- E. უწევს პირველად დახმარებას და უტარებს სარეანიმაციო ღონისძიებებს პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს: ამოიცნობს და აფასებს (DRSABCDE) გადაუდებელ სამედიცინო მდგომარეობას, უწევს ბაზისურ პირველად დახმარებას პაციენტს მისი ასაკობრივი თავისებურებების (ახალშობილი, ბავშვი, ხანდაზმული) გათვალისწინებით, გაიდლაინების შესაბამისად ატარებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ და კარდიოპულმონურ სარეანიმაციო ღონისძიებებს, გაიდლაინების შესაბამისად ატარებს გაფართოებულ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს, გაიდლაინების შესაბამისად უწევს გადაუდებელ დახმარებას პაციენტს ტრავმების დროს;
- F. გამოწერს მედიკამენტებს: გასაგებად და სწორად გამოწერს მედიკამენტებს ასაკობრივი ასპექტების გათვალისწინებით, უკავშირებს შესაბამის წამლებს კლინიკურ კონტექსტს, განიხილავს მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობას და აფასებს პაციენტისთვის პოტენციურ სარგებელსა და შესაძლო რისკს, მკურნალობს ტკივილსა და დისტრესს, ითვალისწინებს მედიკამენტების თავსებადობას მკურნალობის დანიშვნისას;
- G. ატარებს პრაქტიკულ პროცედურებს: განსაზღვრავს სასიცოცხლო ნიშნებს: პულსს, სუნთქვას, ტემპერატურას, ზომავს არტერიულ წნევას, გასაზღვრავს სატურაციას, აკეთებს პერიფერიული ვენის ვენეპუნქციას, ასევე ინექციას კანქვეშ და კუნთში, შეყავს სამკურნალო საშუალებები ვენაში და იყენებს ინფუზიის მოწყობილობას, დგამს პერიფერიულ ვენაში კათეტერს, ახდენს პაციენტების ტრანსპორტირებას და შესაბამისად ეკურობა მათ, ახდენს პაციენტისათვის სისხლის გადასხმასა და ჭანგბადის მიწოდებას, ამუშავებს ჭრილობას და ადებს ნახევრებს, ადებს და ხსნის ნაკერს, აკეთებს შარდისბუშტის კათეტერიზაციას და შარდის ანალიზს, იღებს ელექტროკარდიოგრამას და ახდენს ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაციას, ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს, იყენებს საინჰალაციო მედიკამენტებს;
- H. ახდენს ეფექტურ კომუნიკაციას სამედიცინო კონტექსტში: აწარმოებს ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას, მათ შორის დამხმარე პირის საშუალებით, პაციენტთან, მის ნათესავებთან, უნარშეზღუდულ პირებთან,

კოლეგებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, მასმედიასთან, ასევე ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა, არჩევს კომუნიკაციურ მოდელს ადრესატისთვის უსიამოვნო ამბების შეტყობინებისას, ასევე პაციენტის ან მის კანონიერი წარმომადგენლისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღებისას, განმუხტავს კოლეგებსა და/ან სხვა მესამე პირებს შორის არსებულ კონფლიქტებს მოლაპარაკების გზით;

- I. იყენებს ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკაში: იცავს პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, იცავს საექიმო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმებს და პაციენტის ინტერესებს, იღებს პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლისაგან ინფორმირებულ, მათ შორის წერილობით თანხმობას სამედიცინო მომსახურების გაწევამდე, ავსებს და გასცემს გარდაცვალების თაობაზე – სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის ფორმებს, ითხოვს აუტოფსიას (გვამის გაკვეთას სიკვდილის მიზეზის დასადგენად ან სამეცნიერო მიზნით) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას პაციენტის მკურნალობისას, წარმართავს სამედიცინო საქმიანობას მულტიკულტურულ საზოგადოებაში;
- J. აფასებს პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს: აფასებს დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს, ახდენს პაციენტის ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების იდენტიფიცირებას;
- K. იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრინციპებს, უნარებსა და ცოდნას: იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს პრაქტიკაში, განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს, კრიტიკულად აფასებს კვლევის პროცესში გამოქვეყნებულ თანამედროვე ლიტერატურას და უახლეს მეცნიერულ კვლევებს, შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს და იყენებს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში;
- L. ეფექტურად იყენებს ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო კონტექსტში: სწორად აწარმოებს და სრულად ინახავს კლინიკურ ჩანაწერებს, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს პრაქტიკულ საქმიანობაში, მოიძიებს დარგის სპეციფიკურ საინფორმაციო რესურსებს, ინახავს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის პირად ჩანაწერებს (პორტფოლიო);
- M. იყენებს სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპებს, მეთოდებსა და ცოდნას: ავლენს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნას, შეიმუშავებს კვლევის დიზაინსა და კვლევის დეტალურ გეგმას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს, პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევებს, კრიტიკულად აანალიზებს ბიომედიცინის სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და წერს რეფერა-ტს/მიმოხილვას/კვლევით პროექტს;
- N. მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში, ერთვება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში, ავლენს ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობის უნარს: ატარებს მკურნალობას, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი, ატარებს ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებს, აცნობიერებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით აფასებს საკუთარ ჯანმრთელობას, მონაწილეობს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში

	როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: О. იცავს ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის ნორმებს, გამოხატავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და მუდმივი პროფესიული სრულყოფისაკენ სწრაფვის მზაობას, აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს გადაწყვეტილებებს, შეუძლია პრობლემების გადაჭრა, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, ნახულობს გამოსავალს არაპროგნოზირებადი სიტუაციებიდან და შეუძლია ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია, იცავს ინტერპერსონალური კომუნიკაციის ნორმებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ეხმარება სხვებს სწავლაში და პრაქტიკულ საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს სხვებისგან დახმარებას, იცავს გუნდური მუშაობის ძირითად პრინციპებს და მონაწილეობს მულტიდისციპლინურ გუნდში; Р. ავტონომიურად მოიძიებს სხვადასხვა წყაროებიდან უახლეს ინფორმაციას, აანალიზებს პირველად მონაცემებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით, გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული და პროფესიული ღირებულებებისადმი, საქმიანობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებითა და კულტურების მრავალფეროვნების პატივისცემით.
სწავლა-სწავლების მეთოდები	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

	ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური აზროვნება (CBCR). შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, კვლევითი ნაშრომი/პროექტი და სხვ.). დასკვნითი შეფასების ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ჩამოყალიბებული კლინიკური კომპეტენციების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ახალი და ეფექტური მეთოდი - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რომელიც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტადაა აღიარებული. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას სტუდენტები ასრულებენ დავალებებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროცედურებს, ინტერვიუების მეთოდებს ან მონაცემთა ინტერპრეტაციას. პრეკლინიკური კურსების ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), რაც თეორიული, პრაქტიკული და პრობლემების გადაჭრის უნარების შეფასების ობიექტური ინსტრუმენტია. გამოცდის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა ამოიცნონ და აღწერონ ანატომიური, ჰისტოლოგიური ნიმუშები, რადიოლოგიური გამოსახულებები. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს

	ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: • (A) ფრიადი – 91-100 ქულა; • (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; • (C) კარგი – 71-80 ქულა; • (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; • (E) საკმარისი – 51-60 ქულა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: • (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს გაიაროს უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადების კურსი (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტური პროფესიული პროგრამა, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.
დასაქმების სფერო	„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს უმცროს ექიმად და შეასრულოს ექიმის ფუნქცია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს დაკავდეს

	პედაგოგიური და/ან სამეცნიერო საქმიანობით ან დასაქმდეს ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რაც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება არა აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა.
--	---